

# სეცსლი

ფასი 10

„სეცსლი“ იუბილარული ჟურნალი.

ადრესი: Тифлисъ, Т-во Сорананъ для „СЕЦСЛИ“

331/09  
1907

№ 1.

კარიკატურებიანი ჟურნალი

1907 წ.



ბურჟუას — მსხვერპლი.

## ს ა ა ხ ა ლ ჯ ლ ო .

მსურს მოგილოცო ახალი წელი, საკეთილ-დღეო აჩნდეს კვალია, შური და მტრობა ძირს არ გვითხრიდეს, წარსულს გვიჯობდეს მომავალი.

ცარცვა და რბევა ქვეყნათ არ იყოს, უკანრობით გამეფებული, და ავაზაკათ არ ითვლებოდეს, კაცი ხალხისთვის თავ-დადებული.

სიმართლის თქმისთვის არ ისჯებოდეს, მოგნიჭებოდეს მეტი უფლება, და არ გიქადდეს დამნაშავეის სკამს, ტანჯულ ჩაგრულის გამოსარჩლება.

შენ საქმეს ნებით, შენ განაგებდე, შენ ნაოფლარის იყო ბატონი, ღარიბს მდიდარიც აღარ სჩაგრავდეს, სათანასწორო იყოს კანონი.

მეტი უფლება ჰქონდეს მშრომელ ხალხს,

არ აკლდეს პური და სამართათი, და რასაც შეჰქმნის ოფლის დაღვრილა, თვითონვე იყოს იმის უფალი.

შენს საიდუმლოს ფულზე არ ჰყიდდეს, სოფლის მოხელე ჩინოსანია, სახლის გამჩხრეკათ ღმერთმა გაშოროს, ჯარის კაცებში ცხენოსანია.

შენ პიროვნებას არ ამცირებდნენ, უფროსებს ჰქონდეთ მეტი სირცხვილი,

ხალხსაც აშორდეს ესოდენ ტანჯვა, არ აწუხებდეს სიმშვილ წყურვილი.

საერთო სურვილს მიზნათ თან სდევდეს, მტკიცე ძმობა და სიყვარულია, რომ გამარჯვებულთ მტრებსაც ახარონ, ხალხის შვება და სიხარულია.

ალექსანდრე კვაჩაძე.

## ახალი ამბები.

ეს ერთი ხანია რაც იბილისიდან ცნობილი „მიზინო“ გაფრინდა იმერეთში, მწყერების საქვრლად, გვტყობინებენ რომ ფოთში მსუქან, მსუქანი მწყერები დაუქერია — მაგრამ ისევ გაფრენია...

7501

◆ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ „გოლოს კავკასას“ ასოთ-ამწყობები გაფიცვას აპირობენ. შესაფერი მოთხოვნები შეუთქმუშავენიათ და ამ დღეებში წარუდგენენ რედაქციას (თუმცა რედაქცია აქნობამდისაც მოელოდა).

◆ ყვირილიდგან გვატყობინებენ, რომ იქ გაფიცულან ყვირილის სტრაჟნიკები, შოთხოვენ მხოლოდ „პოლიტიკურ თავისუფლებას“.

◆ იბეჭდება ზე ამ მოკლე ხანში გამოვა ქართველთ-განმანათლებელის დიადი თხზულება. წიგნი შემკული იქნება ს. დ. ქება-დიდება ზე ლაძღვა გინებით.

◆ ძირულის ვაჭრები გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მათ ესაჭიროებათ კიდევ ერთი სტრაჟნიკი, ვისაც უნდა ამ აღრესით მიმართოს.

სტ. ძირულა დ—ნს.

◆ წვეის საზოგადოებიდგან გვატყობინებენ, რომ იქ აღმოჩენილა შესანიშნავი ვეჭილი ა. გ—ძე. ვისაც რაიმე საქმე აქვს უეჭველათ გ—ძეს მამართონ, რომელიც პირნათლათ ასრულებს ყოველგვარ დავალებას.

**ფეხული.**

(აქტურ შნიტლეკისა.)

**პირველი დიალოგი.**

ჯარის კაცი და რასკიბა ქაღი. სსაძმთა მოგვანათ, აუგარტენის ხედთან.

**როსკიბი.** მოესწრები კიდევ კაზარმაში მისვლას. მენდე, რომ ჩემთან უფრო ტკბილად იქნები.

**ჯარის კაცი** (მიუხაჯოვდება მას): ჰაი—ჰაი, რომ მართალია.

**როსკიბი.** სსსუ!.. ყოველ წუთს პოლიციელის თავ-დასხმას უნდა ველოდოთ!

**ჯარის კაცი.** რას მასხრობ?! პოლიციელი! აქა მაქვს!.. (მასხაფს უჩვენებს)

**როსკიბი.** აბა, წავიდეთ.

**ჯარის კაცი.** დამანებე თავი. სულ ერთია, მე ხომ ფული არა მაქვს.

**როსკიბი.** შენი ფული მე რათ მინდა.

**ჯარის კაცი.** (შეჩვენებს სანათურის გვერდით) ფული არ გინდა? ვინა ხარ, თუ ღმერთი გწამს?

**როსკიბი.** თუ ფულს მაძლევენ—დეე, მომცენ ერის კაცებმა. მაგრამ შენისთანებს ფასი არაფერში არ მოეთხოვება.

**ჯარის კაცი.** უეჭველია, შენ ის უნდა იყო, ვის შესახებაც მელაპარაკებოდა მე გუბერნი.

**როსკიბი.** არავითარი გუბერნი მე არ ვიცი.

**ჯარის კაცი.** ეჭე-ჭე! რალა თქმა უნდა,

რომ შენ ისა ხარ. არ იცი განა ყავახანა მიკბ-მოკბულ მოხვეულში, საიდანაც ის გაგყვა შენ?

**როსკიბი.** უიმე! ცოტა ვინმეები გამყოლია მე მაგ ყავახანიდან?

**ჯარის კაცი.** „ჰაილა!“ გავსწოთ!

**როსკიბი.** ახლა ხომ იჩქარი?

**ჯარის კაცი.** მაშ რალას ველოდოთ? ათ საათზე კაზარმაში უნდა გავჩნდე.

**როსკიბი.** დიდი ხანია, რომ სამსახურშიდა ხარ?

**ჯარის კაცი.** რას დეეძებ? შორსაა შენი ბანა?

**როსკიბი.** ათი წამის სასიარულო გზაა.

**ჯარის კაცი.** ვაი, რა შორს მდგარხარ! ქე მაინც მაკოცე.

**როსკიბი.** (გაჩნის მას), ასე სასიამოვნოა ჩემთვის მისი კოცნა, ვინც მომწონს.

**ჯარის კაცი.** ჩემთვის კი არა. მე მაინც ვერ წამოვალ, ერთობ შორს მდგარხარ.

**როსკიბი.** აბა, იცი: მოდი ხვალ დღისით.

**ჯარის კაცი.** კეთილი მითხარი—სად?

**როსკიბი.** შენ მაინც არ მოხვალ!

**ჯარის კაცი.** თუ ვსთქვი კიდევ... .

**როსკიბი.** იცი, მეგობარო! თუ რომ შენთვის შორსაა, აი, აქეთ... მიბრძანდი... (უთითებს მდინარე ღუნაის კადისაკენ),

**ჯარის კაცი.** როგორ?

**როსკიბი.** იქ ახლა სიწყნარეა... არავინ არაა.

**ჯარის კაცი.** აი, ეგ კი არ ვარგა.

**როსკიბი.** ჩემი შეხედულებით კი სულყოველისფერი ვარგა. არ დარჩები დღეს ჩემთან, ხვალ ვინ იცის, ვიცოცხლებთ თუ არა.

**ჯარის კაცი.** ჰე! წავიდეთ—მხოლოდ ჩქარა!

**როსკიბი.** ფრთხილათ! ხედავ, რა ბნელა? წავისტება ფეხი და შეტოპავ დუნაიაში.

**ჯარის კაცი.** ეგ კიდევ ყველაფერს ემჯობინება

**როსკიბი.** სსსუ! ჩუმათ. საჯდომს ვუახლოვდებით.

**ჯარის კაცი.** როგორც ვტყობა, ამ აღდილის მდებარეობა ზედ - მიწვევით გცოდნია.

**როსკიბი.** შენისთანას საყვარლათაც არ დავიწუნებდი.

**ჯარის კაცი.** ძალიან ეჭვიანდაც მოგეკიდებოდი.

**როსკიბი.** მეტად მალე გადაგაჩვენედი.

**ჯარის კაცი.** თუ რომ... .

**როსკიბი.** იყურე! ხან და ხან აქ გაივლის ხოლმე გუშაგი. დაიჯერებდი, რომ ჩვენ ქალაქ ვენის შუა გულშიდა ვართ?

**ჯარის კაცი.** აქეთ წამოდი, აქეთ.

**როსკიბი.** რას ამბობ? ფეხისგადაღმაღალა საჭიროა, რომ წყალში ამოვყოთ თავი.

**ჯარის კაცი.** (მოხევევს) ჰაი, შე... .

**როსკიბი.** მაგრათ შემომეჭვდე... .

**ჯარის კაცი.** მაგის ჯავრი ნუ გაქვს... .

**როსკიბი.** საჯდომზე აჯობებდა... .

**ჯარის კაცი.** აქ თუ იქ... სულ ერთია... აბა, აღდექი.

**როსკიბი.** რალა გეჩქარება?

**ჯარის კაცი.** კაზარმაში მიგვიანდება... ისეც დავიგვიანე... .

**როსკიბი.** მითხარი, რა გქვია?

**ჯარის კაცი.** რა შენი საქმეა, მე რაცა მქვია?

**როსკიბი.** მე კი ლეოკადია მქვია.

**ჯარის კაცი.** ბიჭოს! ჯერ არ გამიგონია მაგისთანა სახელი.

**როსკიბი.** გამიგონე, კაცო!

**ჯარის კაცი.** რა?

**როსკიბი.** მეწოვესთვის მაინც მიბიძგე ორიოდ ფარა!

**ჯარის კაცი.** ფრიჭა! საქმე იშოვნა ამ ტუტუტუმა! მშვიდობით, ლეოკადია!..

**როსკიბი.** საძაგელი! მიწის მუღო!.. (ჯარის კაცი მიუფარება).

კრიჭა.

**მკელი ამბავი.**

შეხეთ რას სჩადის დავითა თავის უტვინო თავითა, ისე აღეხებს მოწაფეს, რომ ის პასუხს სცემს მკლავითა,

მას აქეთ განვლო კარგა დრომ, რაც მოხდა ესე ამბავი, მოსწავლის ცემა აღმზრდელსა შეექნა დასანანავი. ეს მოხდა ხუთი წლის წინეთ, ქალაქ თბილისის ზღუდესა, ტაძარსა მეცნიერების, — კეთილშობილთა ფუნესა; ოდეს სკოლებში მეფობდა „რეჟიმი“ დამყაყებული და თვითნებობდა აღმზრდელი — ჩინებით დაბრმავებული, ოდეს ბოვშეების ნორჩ ტვინსა ამახინჯებდენ სრულათა, სწავლა ქალამნათ მიაჩნდათ, მეცნიერება ქუდათა; ოდეს იეფობდა ქრთამები, „პროტექტორ“, „რეკომენდატი“, ლარბს „დვოიკებს“ უსვამდენ, მდიდრისთვის იყო „პიატი...“ ოდეს ლარბის ბიჭუნა სკოლიდან იდევნებოდა და მდიდრის შვილი, გინდ გიჟიც,

„სტუდენტ-კურსისტათ“ ცხვებოდა!  
 დიახ, აი ეს ამბავი  
 მოხდა სწორეთ იმ ხანებში  
 და ჩემი არა ბრალია,  
 თუ მის გმირთ ეცეთ თვალეზში.

ერთ ღარიბ-ღატაკ თავადსა  
 ყავდა პაწია ვაჟა  
 და მიაბარა სკოლაში  
 იხადა სწავლის ბაჟია,  
 რომ ეგებ მისსა ბიჭუნას  
 მიელო „ატესტატია“  
 გამოსულიყო ნასწავლი,  
 და არა ჭკუა—ფანტია;  
 მაგრამ უმტყუნა ბედშავსა  
 უმართლო ბედის წერამა,  
 წელში მოღუნა საბრალო, —  
 დავით რაინდის ქცევამა...  
 მისი ბიჭუნა მეოთხე  
 კლასშია ირიცხებოდა  
 და სწავლის ვათავებამდე  
 ოთხი წელიდა რჩებოდა.  
 პირველი იყო სწავლაში—  
 ნიჭით და გამჭირახობით,  
 მაგრამ დაეხმო სკოლის ბჭე  
 დავით რაინდის წყალობით.  
 გადაემტერა ბიჭუნას  
 რუსულის მასწავლებელი,  
 თუ გინდ „ხუთებზე“ მიეგო,  
 „ორების“ იყო მსმეველი.  
 გადაემტერა, მაგრამ რა?  
 (ეს ხომ ბუნების წესია?)  
 იქ მკიდა ჩვენი აღმზრდელიც  
 სადაც არ დაუთესია.  
 და „ხუთის“ ნაცვლად „ორებსა“  
 უხვათ უსვამდა მოწაფეს,—  
 (ეს ყველამ ვიცით სკოლებში  
 ადგილი არ აქვს მოწამეს,  
 რომ გამოირკვეს სიმართლეს);  
 ამიტომ წლისა ბოლოსა  
 ბევრი ეხვეწა მოწაფე  
 ნიშნები გაუსწოროსა!..)  
 თქვენც არ მომიკვდეთ! აღმზრდელი  
 სულ არ იბერტყდა ყურებსა;  
 (მოწაფეს ქრთამი მიეცა?—  
 სად იშოვიდა ფულეზსა?!..)  
 იფიქრა ერთხელ: აღმზრდელსა  
 სხვებთანაც შეევეფეწები  
 და თუ მას არა,—სხვას მაინც  
 მართალი შეევებრალები!..  
 და აი ერთხელ, როდესაც  
 მასწავლებლები ბჭობობდენ.  
 შეიქრა ჩვენი ბიჭუნა  
 (ეგონა შეიბრალებდენ).  
 და მოახსენა. „ბატონო,  
 ყველა საგნებში ხუთი მაქვს  
 მხოლოდ ჩვენს აღმზრდელს არ ვიცი  
 ჩემთან სამტრობი რაღა აქვს,  
 რომ „ოთხის“ ნაცვლათ რუსულში

მინიშნავს მხოლოდ „ორებსა“  
 და სხვებს კი „ორის“ მაგიერ  
 უსხავს „სამსა“ და „ოთხებსა!..“  
 გემუდარებით: ეხვეწნეთ  
 გადამისწოროს ნიშანი,  
 რომ ამ წელს საწყალ მამაჩემს  
 არ მიუვიდე პირშავი;  
 არც მე დავკარგო მთელი წლის  
 ნაშრომ-ნაღვაწი, ნასწავლი  
 და მეხუთეში ვადვიდე  
 მამა ვახარო საწყალი!..  
 გეფიცვით ყველას გაუსწრობ  
 სწავლით და ყოფა ქცევითა,  
 მაშ, შემახვეწეთ აღმზრდელსა,  
 გთხოვთ, ეს სიკეთე ქენითა!  
 ამ დროს წამოხტა დავითა  
 თავის უტვინო თავითა  
 და მოახსენა პედაგოგთ:  
 „ნუ თუ თქვენ ვერა სცანითა,  
 რომ ეს მოწაფე ღირსია,  
 არამც თუ „ორის“ „ერთისა“,  
 მისთვისც აღმზრდელსა ჩვენის მხრით  
 ამაზე არა ეთქმისა,  
 თვით მეც ერთ ჩემსა მოწაფეს,  
 თუმც ვაკვეთილი იცოდა  
 მაინც კი „ორი“ დაუსვი,  
 (საბრალო ოთხ დღეს ტიროდა).  
 და ეს ურჩი კი ჩვენს საბჭოს  
 მიმართავს ურცხვი თხოვნითა,  
 რომ მისსა ბატონს აღმზრდელსა  
 ჩვენცა მივმართოთ თხოვნითა:  
 გადაუსწოროს ნიშანი  
 და კლასში გადაიყვანოს;  
 ეხლავე მომიხმეთ სტოროჟი,  
 ეს გიფი ძირს ჩაიყვანოს!“  
 აქ კი ვერ შესძლო მოწაფემ  
 და მოახსენა: „ბატონო,  
 როდესაც საქმის თქმა გინდა  
 ჯერ უნდა აწონ-დაწონო,  
 ეს მცნება თქვენვე გვასწავლეთ  
 და თქვენვე არღვევთ პირველი,  
 თქვენ კარში მაგდებთ იმ დროსა,  
 როს თქვენგან შევლას მოველი;  
 ნუ თუ ეს არის დღეს თქვენი  
 კანონი სამართალია,  
 რომ სწავლის კარი დაუხშოთ  
 იმას ვინც, რომ საწყალია?  
 მაშ, ვაშა თქვენსა სახელსა,  
 ტყუილო პედაგოგებო,  
 მარცხენა ჯიბის მსახურნო,  
 სამშობლოს დემაგოგებო!  
 დღეს თქვენსა უსამართლობას  
 ფას დასდებს მომავალია,  
 და ვით უღირსთა გაგდევნისთ,  
 არ გიჩნდესთ გზა და კვალია!“  
 აქ კი შემოფოთდა დავითა,  
 ჰკრა მუჯლუგუნი მოწაფეს  
 და მისმა აშხანაგებმაც  
 ჩვენს დავითს ბანი მოსძახეს.

გადიკაპიწა მოწაფემ  
 თვისი პაწია მკლავები  
 და განიძრახა თვის გულში:  
 „მე ამათ ვავემკლავები!“  
 ჩასტიდა ხელი დავითას,  
 მისცხო მარცხენა ყბაშია  
 და ჩვენს უტვინო დავითას  
 სისხლმა ახეთქა თავშია.  
 ბუბნის და სწეწავს მოწაფე  
 უტვინო დავით რაინდსა,  
 მასწავლებლებიც ვერ ბედვენ  
 გამოგესარჩლონ დავითსა  
 და ამ ყოფაში დავითი  
 გორაობს, როგორც ფინია,  
 მოწაფე ურტყავს ცხვირ-პირში,  
 მთლათ დაუბნია ტვინია!  
 ბოლოს კი პედაგოგებმა  
 შემოიკრიბეს ძალები  
 და ააცილეს რა ყოფით  
 დავითს მოწაფის მკლავები;  
 შემდეგ ამისა შეიქნა  
 სასტიკი გამოძიება,  
 ყველა დაადგა ამ დასკვნას:  
 „მოწაფე გიფი იტყება,  
 თორემ ის ვით შებედავდა  
 პედაგოგისა ცემასა“—  
 და ამა მიზნით ექიმიც  
 დაესწრო იმათ კრებასა.  
 მან შეამოწმა მოწაფე:  
 „შერყეულია ჭკუაზედა!“  
 და დაითხოვეს მოწაფე  
 სკოლიდან ერთ კვირეზედა.  
 ასე, ამ გვარათ მოწაფე  
 დასტოვეს უბედურათა,  
 თვით განცხრომასა მიეცნენ  
 და ქეიფს ძველებურათა.  
 მაგრამ ბოლოს კი მხამდებათ  
 ძველი „საქმენი საგმირო“,  
 ამისთვის ჩემი აზრითა  
 უფრო ის არის საჭირო,  
 რომ ამ გვარ ცუდსა შემსხვევეებს  
 კვლავ აღარ ქონდესთ ადგილი  
 მასწავლებელთა საბჭოსთან  
 მოწაფეთც ქონდესთ კავშირი,  
 რომ მათთან ერთათ მშობლებმაც  
 არჩიონ ყველა საკითხი  
 და მომავალშიც არ გახდენ  
 საგინებელი, საკიცხი.

რა საეჭვოა, ჩვენც ვიცხავთ  
 მოწაფის ესდენ ბრიყვობას,  
 მაგრამ არც აღმზრდელთ უწონებ  
 ცუდლუტობას და ფლიდობას.

ეშმაკი ჯოჯოხეთში.

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

(დეკაპრონიდან).



ერთგულება.

ოდესმე ერთ ქალაქშიდ სცხოვრობდა ძალიან ძლიერი და გამოჩენილი კაცი, სხვა შეიღების რიცხვშიდ, მას ერთი ძალიან ლამაზი ქალი ჰყავდა — ალიბეკი. ალიბეკი თითონ ქრისტიანი არ იყო, მაგრამ ქრისტეს მოძღვრებაზე ბევრი რამ გაეგონა, მოსწონდა იგი, ბოლოს კიდევ გასდასწყვიტა მომზადებულიყო ქრისტიანობის მისაღებათ. მას ურჩიეს, რომ წასულიყო სადმე უდაბნოში მოსცილებოდა ყველაფერ ცხოვრებრიეს და წმინდა ცხოვრებით მომავალ ცხოვრებისათვის მომზადებულიყო.

ალიბეკი სულ 14 წლისა იყო და ძალიან გამოუცდელი ცხოვრებაშიდ. ერთ მშვენიერ დღეს ალიბეკი გაუდგა გზას და დიდი ხნის სიარულის შემდეგ მივიდა ფივადის უდაბნოში, დიდი ხნის სიარულის შემდეგ დაინახა პატარა სახლი უდაბნოშიდ და მიაშურა იმისკენ; კარებშიდ მას ბერი შეხვდა, რომელსაც ძალიან გაუკვირდა ლამაზი ქალის მოულოდნელი სტუმრობა და კითხა თუ რისთვის არის იგი მოსული.

ქალიშვილმა მოუყვა წადილს და სთხოვა ხელსაძლევანებლობა გაეწია მისთვის.

ბერი აენტო ქალის სილამაზით, ალიბეკმა იგი ალღე მოხიბლა და რომ ბერი არ შეეცდინა ბოროტ სულს, აქამა საკმელი და მისაწავლა იქვე ახლო მცხოვრებ ბერზე.

ალიბეკი ისეთივე პასუხით გამოისტუმრა მეორე სულიერმა მამამაც და მანაც მისაწავლა იქვე მცხოვრებ ახალგაზდა ბერზედ.

დაღონებული ალიბეკი მივიდა ახალგაზდა ბერთან და უამბო თავისი სურვილი. ბერი არ შეუშინდა ბოროტ სულს და დაიტოვა ალიბეკი თავის ქობშიდ. დაღამებისას მან გაუკეთა საწოლი ღერწმებისაგან დაუგო თივა და დააწვინა.

ქალმა გაიხადა ტანისამოსი და დაწვა დასაძინებლათ. აქ ბერმა ვეღარ გაუძლო მომხიბლავე სილამაზეს მშვენიერ კეკლუც ტანს ქალიშვილისას და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება, ისე რომ ქალმა ვერცკი გაიგოს თუ რას სჩადის. მან დაუწყო გამოკითხვა ამ საგნის შესახებ და მის სასიხარულოთ აღმოჩნდა, რომ ქალმა სრულებით არ იცოდა კაცის თაობაზე არაფერი.

ბერი მას თანდათან უხსნიდა, თუ როგორი ბოროტი სული არის ეშმაკი და უთხრა რომ ეშმაკის ჯოჯოხეთშიდ შეგდება ერთერთ სულიერ საქმეთ ეთვლება ადამიანსაო...

— როგორ კეთდება ეგა—კითხა ალიბეკმა— როგორ უნდა მოახერხოთ, რომ ეშმაკი ჯოჯოხეთში შევაგდოთ?

— ახლავე გაიგებ— მიუგო ბერმა.— შენ გაქვს ჯოჯოხეთი და უნდა გითხრა სიმართლე, რომ შენ თვით განგებამ გამოგგზავნა ჩემთან, რომ ჩემი სული იხსნა ბოროტებისგან. შენ იქნები ისეთი კეთილი, რომ ჩემ ეშმაკს შენ ჯოჯოხეთშიდ დაამწყვდევე, ამით მე მიხსნი ბოროტ სულისაგან და შენც კეთილ საქმეთ ჩაგეთვლება.

— ო... ჩემო სულიერო მამა— გულუბრყვილოთ მიუგო ალიბეკმა— თუ კი მე ჯოჯოხეთი მაქვს, მაშ ჩავაგდოთ შენი ეშმაკი შიდ.

— კეთილო შვილო! მე არ ვიცი როგორ გადაგიხადო მადლობა.

ამ სიტყვებით მან აუხსნა ალიბეკს, როგორ უნდა დაამწყვდიონ ეშმაკი ჯოჯოხეთშიდ. ალიბეკს რომელსაც ჯერ არავითარი ეშმაკი არ შეუგდია ჯოჯოხეთში, პირველათ ეხიმა და სთქვა:

— ო!.. რა საზიზღარი რამ იქნება ის ეშმაკი.



შავი ყვავები.



— მოიცადე შეილო, შენ მალე ნახავ როგორი სასიამოვნო იქნება შენთვის ეშმაკის ჯოჯოხეთ-შიდ დამწყვედვა; თავის სიტყვების დასამტკიცებლათ მან ბარე ექვსჯერ შეავლო ეშმაკი ჯოჯოხეთშიდ. ბოლოს ეშმაკი ისე დაილალა, რომ ძაღლონე დაეკარგა და გაჩუმდა. მაგრამ იგი ისევ მომჯობინდებოდა შეიკრებდა ძაღლონეს და და მერე ქალიც სიამოვნებით იღებდა მას თავის ჯოჯოხეთშიდ. ასეთი თამაშობა ალიბეკს ძალიან მოსწონდა და ამბობდა.

— ტყუილი არ ყოფილა, როდესაც მეუბნებოდენ ქრისტიანები, — სულიერი ცხოვრება უტკბესი რამ არის ქვეყანაზედო, მართლაც მე არ აროდეს არ გამოკეთებია ისეთი რამ რომ ამდენი სიამოვნება მაგრძნოს. ეშმაკის ჯოჯოხეთშიდ შეგდება უტკბესი რამ ყოფილა და სულელებია ისინი ვინაც ასეთ სულიერ საქმეს არ მიზღვეს, ამიტომ იგი ხშირათ მოდიოდა ბერთან და სთხოვდა, ეშმაკის ჯოჯოხეთში ჩაგდებას.

— სულიერო მამა, მე ხომ მისთვის არ მოვსულვარ აქ რომ უსაქმოთ ვიჯდე, წავიდეთ ჩავადლოთ ეშმაკი ჯოჯოხეთშიდ. როდესაც ეშმაკს ჯოჯოხეთშიდ აგდებენ, (ალიბეკი კითხავდა მას).

— რისთვის მიზნის ეშმაკი გარეთ—მან რომ იცოდეს რა სიამოვნებით იღებს მას

ჯოჯოხეთი იგი არასოდეს არ გამოვიდოდა იქიდან.

ბოლოს ალიბეკმა დაუწყო ბერს ხვეწნა, ეშმაკი ხშირათ ჩაეგდოთ ჯოჯოხეთშიდ. ბერმა აუხსნა, რომ ეშმაკის ჯოჯოხეთში შეგდება მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როდესაც იგი აღელვდება და სიამაყით თავს მალლა წამოწევს. და ჩვენც ღვთის მადლით ისე დავსაჯეთ იგი, რომ ახლა ჩუმათ არის და ხმასაც აღარ იღებს.

როდესაც ქალმა შეხედა, რომ ბერს აღარ უნდა ეშმაკის ჯოჯოხეთში ჩაგდება, მან უთხრა.

— შენ კი გაჩუმე შენი ეშმაკი და აღარ გაწუხებს, მაგრამ ჩემი ჯოჯოხეთი კი მოსვენებას აღარ მაძლევს. ამიტომ კარგი იქნება რომ შენი ეშმაკით მომეხმარო და ჩემი ჯოჯოხეთი ისე მოვლათ რომ, როგორც შენ არ გაწუხებს შენი ეშმაკი ისე მე არ შემაწუხოს ჩემმა ჯოჯოხეთმა.

მაგრამ ბერს აღარ ქონდა ღონე რომ მისი ჯოჯოხეთი გაეჩრებია, მის ბედზედ ალიბეკის მამა მთელ თავის ოჯახობით თავისვე სახლში გამოიწვა და ალიბეკი დარჩა მის ქონების ერთათ ერთი კანონიერი მფლობელი. ამ დროს ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა, რომელმა სულ მთლათ შექამა თავის მამული, მოინდომა ალიბე-

კის შერთვა. მან ბერის სასიამოვნოთ, წაიყვანა ალიბეკი და დაიწერა ჯვარი.

როდესაც ქალები ჯვარის დაწერამდის ჰკითხავდენ როგორ ემსახურე ღმერთსაოს ალიბეკიც უზასუხებდა მე ეშმაკს ვაგდებინებდი ერთ ბერს ჯოჯოხეთში. და ჩემმა საქმრომ კი წამომიყვანა და ეხლადარ შემეძლება კეთილ საქმეების ჩადენა...

გამოკითხეს ისიც თუ როგორ ხდებოდა ეშმაკის ჯოჯოხეთშიდ ჩაგდება და დაუწყეს სიცილი, შემდეგ დაამედეს, რომ მის ქმარსაც შეუძლია ეშმაკის ჯოჯოხეთში ჩაგდება.

მას შემდეგ ეს ამბავი გაავრცელეს ქალაქშიდ და სხვადა შორის ანდაზათაც-კი გადიქა; „ყველაზე უფრო კეთილი და ღვთისთვის სასიამოვნო ეშმაკის ჯოჯოხეთშიდ ჩაგდება“.

ამიტომაც თქვენ ახალგაზდა ქალებო ისწავლეთ ეშმაკის ჯოჯოხეთშიდ ჩაგდება, ეს ორვე მხარესთვის სასიამოვნოა და კეთილ და ღვთისნიერ საქმეთ ჩაგეთვლებათ.

8.—

### ზოგზიას ჩივილი.

უბედურ ვარსკვლავს რომ იტყვიან ნამდვილათ იმ ვარსკვლავზე ვყოფილვარ გაჩენილი მე უბედური და შავ-წყალ წაღებული. ვაი, საწყალო გოგია ჭყურტაძე! საითაც გვეიქეცი, იქით წვეიქეციო! სადაც გადავდგი ფეხი მე უბედურმა ყველგან რაცხა ქაჯს და ეშმაკს გადავეყარე. რაზე გამაჩინა იმ დალოცვილმა ღმერთმა, თუ კი ერთს ვერ მოვისვენებდი? მწყერის არ იყოს—ერთი გამოვცადე სიამოვნება და ისიც შხამ და ნაღველივით გამომაღინეს ცხვირში. რავე შექარივით მომაგონდება იგი დროი, გურიაში რომ თავისუფლება იყო. მთელი ქვეყანა ჩვენი იყო მაშინ, რაც გვინდოდა იმას ვმოზობდით. მახსოვს ჩვენ სოფელ კუნცხეთში ორშაბათ დილით პრისტავი და მამასახლის-მწერალი რომ ვიფრინეთ! სიცილით მოვკვდები, რომ გამახსენდება, რავე ძუნძულ-ძუნძულით გვიქცენ სოფლიდან. ჩვენ თვითონ ვიყავით პრისტავი და მამასახლის-მწერალიც. გავმართავდით მიტინგს და რაც გვინდოდა იმას ვლაპარაკობდით. ავდგებოდი დილას ადრე და ვადუჟიყვინებდი ივანიკას—მიტინგზე წამოდი მეთქი. შევიყრიდით თავს და ერიპა!

რა გინდა რომ არ ვლაპარაკობდით. მარა ვაი ჩემ დღეს! ჩვენ ბედნიერებას უცბათ მოვლო ბოლო, გვეცხედეთ და ერთ დღეს ჩვენ კუნცხეთშიც ხმაი გავარდა ოზურგეთში „რექაცია“ შემოვარდნილა და არიქა უშველეთ, თვარა აქეთაც მოვია. გამიკვირდა რა „რექაციაა?“ რა ჯანდაბაა? ბიჭო, ვინცხა „რექაციას“ რავე შოუშინდები მეთქი. ყველა ტყისკენ გაიქცა, თუ რავე ხაბაკი ქონდათ ყველამ გაზიდა ტყეში. მე გვეიქიმე ჩემ ფაცხაში, ვეიყუდე გულზე ჩემი მაქახელა და ვუდარაჯებ, აბა რაცხა „რექაციაა“ მევიდეს ერთი ვნახო მეთქი. ბევრი მეხვეწენ მეზობლები—ნუ გადარეულხარ წამოდი „რექაციას“ შენ ვერ მოერევიო, ოზურგეთი სულ თლათ გოდუწვავენ, დოუნგრევიათო, მარა არ დევიჯერე, ვიფიქრე, რომ რაცხა „რექაცია“ დათვზე უმფროსი ნადირი ხომ არ იქნება? რავე შეიძლება რომ ტყვიას არ დაყვეს მეთქი! ჩემი მოკლული დათვი ოცი ფუთი გამოვიდა და „რექაცია“ რავე იქნება უმფროსი მეთქი. დავჯექი ფაცხაში და ველი, კვირა საღამოს, შუაღამე იქნებოდა, ის იყო მიმეღულა, რომ გავარდა თოფი, წამოვხტი ზეზე მეგონა ვინცხა სხვამ ესროლა „რექაციას“ და

ვქამე სირცხვილი მეთქი. გამოვარდი გარეთ. დედა რა ნახა ჩემმა თვალემა-მთელი სოფელი გადანათებული იყო, სახლებს ბრიალი გაქონდა. სინათლეზე დევინახე ჩოხიანები. თოფებს ისევიდგნ და კიყინით მორბოდენ ჩემსკენ. გამიკვირდა, ბიჭო, აგი რაფერო „რექაცია“ ყოფილა მეთქი. მე ერთი მეგონა და ბევრი ყოფილა მეთქი. ისევ თავს უშველეთ გოგიელავ, თვარა შენ მაგენს ვერაფერს უზამ მეთქი—უთხარი ჩემ თავს და ვკურცხლეთ. სილაჩრე რომ არ შეემჩნიათ ერთი ორი კი გვეისროლეთ ჩემი მაქახელა, ვშვლიპე თავი ტყეში და გვეიქეცი ჩემი თოფის ხმაზე ყველა ჩემსკენ გამეიქცენ და მომაყოლეს თოფები, მარა აბა რას დამინახავდენ ტყეში? ევედი ერთ კორტოხზე და ვადმევიხედე. რა დეინახა ჩემმა თვალემა? ჩემი საწყალი ფაცხა სანთელივით აერთოთ და გარშემო ბუქნას გადადიოდენ; გამეიტანეს ჩემი ახალი შეკერილი ჩოხა და ორი ჩოხიანი აქეთ-იქით ეწიწებოდა, —არა მე წვეიღებ არა მეო. სისხლი ყელში მომივიდა, მარა რას ვიზამდი?!. ვიკბინენაზე და გოუდექი ვზას. ერთ დიდ მუხის ძირში ჩავმარხე ჩემი მაქახელა, რომ არ წვეერთმიენ ზეჩვედი სტანციასზე. გადაწყვიტე: ერხანს თფი-

# პროვინცია.

**ა. სოხუმი.** უკვე ერთი თვეა, რაც სოხუმში ჩამოვიდა (დედ-მამის სანახავათ) ოდესელი წმინდა წყლის რუსთა კავშირის თავმჯდომარე, პაწაწინა, ჯერ კიდევ ტუჩზე რძე შეუმშრალი—ვლადნისკი. მათი ეგრეთ წოდებულ „პროგრამის“ გავრცელება ქ. სოხუმშიაც სცადა, მარა მათდა სამწუხაროთ, მისი „საპროგრამო“ პროგრამამ ფესვები ვერ მოიმაგრა და ერთი თვის ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა; დღეს ბ. ვლადნისკიმ სხვა ხერხს მიმართა: თავისი წიგნ-ბროშურები მაღაზიებში დააქვს და ვაჭრებს ემუდარება—გააყოფილეთ თქვენს მუშტრებს საჩუქრათ ეს „საამდროვო“ წიგნებიაო, მარა ვერც ასეთი ხრიკით გააწყო რა. გულ-ნატკენ ვლადნისკიმ სთქვა: „მეგონა სოხუმში ჩემი სამშობლო იყო, მარა შევმცდარვარო“. როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ თავისი „ლიტერატურული“ ნაწარმოები თურმე, ბ. ვლადნისკის სოხაში გადააქვს.

**ბ. ნაოღალში.** ვინც ხშირათ აღევნებს თვალ-ყურს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს იმას გათვალისწინებული ექნება ის უკიდურესი მდგომარეობა, როგორსაც განიცდის დღეს დასავლეთ საქართველო და განსაკუთრებით სამეგრელო სურსა-

ლის-ქალაქში ჩავალ ჩემ მოყვარე ხალამპრე გურგაძესთან და, თუ „რეჟაცია“ წვეიდა გურიიდან, მერე ისევ დავბრუნდები მეთქი. შევხბტი „მაშინას“ და მეორე დღეს თფილის ქალაქში ამოვყავი თავი. ჩამოვხბტი სტანციაში, გვეირკვე მტვერი, გვეიწკვერტე ულვაშები და გამეგედი. გაუდექი ერთ „ულიცას“; გვეიარე ცოტა და სალდათები და გოროდოვოები შემხვდენ და „სტოი“ დამიყვირეს, —ლობესავით გაჩერებულებიყვენ და არავის უშვებდენ. რუსული ქე ვოცოდი და მეც დაუყვირე „სლუში, ზაჩემ სტოი? ია ხალამპრე იდომ“ მეთქი. ვინ გეიგონა, ბოშო, შენი ხალამპრე? მეცენ აქეთ იქიდან და დამიწყეს ჯიბაში ხელის ფათური. ჯიბაში არ იქნება ხელის ჩაყოფა, არ ვარგა, თუ ღმერთმა ინება და ქალი შევირთე—იმიზა არ ვარგა მეთქი, მარა ვინ დაგიჯერა?! ამოფუგენს ჯიბეები, შემისვ-შემომისვეს ხელი და მერე მკითხეს „იამფორთი.“ ბედათ ბაშფორთი ქე მქონდა და მივეცი. სად მუშაობო? სად ვმუშაობ და კუნცხიეთში ყანას ვფუჟნიდი და ახლა ჩემ მაგიერ იქინე „რეჟაცია“ მუშაობს და მე ხალამპრესთან ჩამოვედი მეთქი. აგი რომ ვთქვი მტაცეს ხელი და გამაქანეს უჩასტკაში, და შემაგდეს ერთს

თის მხრივ, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი დაბის ახლოს—ნახარებოუს მონასტერში სცხოვრობს ერთი სულიერი მამა ს—5 ჭა—ძე, რომელმაც თავის დრამაში მთელი სოფელი გააძვალ-ტყავა და რაც კი ამ სოფელში ან ქვაბი, ან ნოხი (ხალიჩა), ან სამოვარი, ან ქვეშაგები და სხვა რამ მოიპოვებოდა ყველა თავის სახლში გადააზიდვინა, ნაოღალაევის ბაშობუზუკ სტრაჟნიკებს, მაგრამ მოგვხსენებათ, რომ ეს ნივთები არც მოიხარშება და არც შეიწვევა, ამიტომაც სულიერ მამას გადაუწყვეტია, რომ რაც კი რამ მოგროვილი ნივთები აქვს ყველა საჯარო ვაჭრობით გაყიდოს და ამოღებულ ფულით თავისი გაუმადლარი კუჭი დაიკმაყოფილოს, თორემ ლამის არის სიმშლით სული გაეპაროს, თუმცა თითო ინჯრაზე ერთი ხონჩა სიმინდის ღომი და ორი ქოთანის ღობიო არა ყოფნის.

### ერთი მრევლთაგანი.

**სოფ. დიდი-ჯიხანიში.** აფთიაქარმა ბესარიონ ჩომახიძემ თავისივე ნებით მიყიდა საზოგადოებას აფთიაქი 3000 მან. ვიყავით საზოგადოებიდგან რამდენიმე არჩეული პირი და დავალბება გვექონდა ფულის შეგროვებაზე. დანიშნულ ვადაზე მიუტანეთ ფული თავისავე აფთიაქში და ვთხოვეთ პირობის შესრულება. ბ. ჩომახიძემ კი ცივი უარით გამოგვისტუმრა,

ბნელ ოთახში, იმისთანა მყრალი ოთახი იყო, რომ ღორი დეიხბრობოდა შიდ. არ გასულა ერთი საათი, რომ კილომ მორეკეს სხვები და ოთახი თლათ გვიქედა. გამიკვირდა რა ამბავი იყო და დავეკითხე ერთს,—ვინც სამუშაოზე არაა იქერენო. ვაი, დედავ! რავა სამუშაო? მოყვარესთან ჩამოვედი და რა უნდა ვიპუშავო აქანა ყანას ხომ ვერ მევიკიდებდი ზურგზე—მეთქი? ცოტა ხანს მერე დამიძახეს. მიმიყვანეს პრისტავთან. შენი სახელიო? მკითხა. „გიორგი მეთქი.“ მამის სახელიო? „ონისიმე მეთქი!“ მამაშენი „რევოლიუცია“ ხომ არ იყოვო? გამეცინა—„რევოლიუცია კი არა ცივი ქადის ქამამ და-არჩო მეთქი. მამა ჩემი არა და მე კი ვარ რევოლიუცია მეთქი!“ ამის გაგონებაზე წამოვარდა განხლებული და იმისთანა მხეთქა თავში, რომ თვალეები დამიბნელდა. აბა ანას რავა მევითმენდი და შევხბტი; მინდოდა შუაზე გამეგლიჯა დედა გაგლეჯილი, მარა მოვარდენ აქეთ იქიდან გოროდოვოები და იმდენი მირტყეს, რომ ძვალი რბილათ მომიქციეს. მირტყამდენ და მიყვიროდენ: „აჰა, შენი რევოლიუციაო!“ კარგი საჩოხე შალივით, რომ მომთელეს—ბარე სამი პალური მონარტყეს და გარეთ გამომაგდეს. „წადი

ულალატა თავის პატიოსან სიტყვას საზოგადოებაზე მიცემულს და აგრეთვე თავისავე ხელმოწერილ პირობასაც, ამიტომაც იმას განცხადება გამოუკრავს და საზოგადოებას ატყობინებს რომ ის ყიდის საჩქაროთ კარგ შემოსავლიან აფთიაქს იაფათ, სურვილი აქვს მიყიდოს ღარიბ ხალხს, რადგან ისინი ძლიერებრალებიან. პირობაზე ხელს მოვაწერო და პატიოსან სიტყვასაც მივეცემა, თუ რომ არ დამქირდა პირობის დარღვევა. თუმცა პირობაზე ხელის მოწერა აღვილია, მაგრამ შესრულებისათვის საჭიროა პატიოსნება ღსინდისი. ამ უკანასკნელზე კი ეს ვაჟბატონი მწყურალათ გახლავსთ.

**პატარა ზიმოური.** რეჟაციის ნაშობ-ნაწარმა ფორუდის სპუსკის გამგე გ—შაში—ძემ 26 ივნისს საღამოს 6 საათზე ბანქო ითამაშა და რაც რამ გააჩნდა სულ წააგო, ამის გამო საშინლათ გაბრაზდა და ჯავრი ერთ თავის მოკუშავეზე იყარა და ლაზათიანათ დაანიორწყალა. ამ ამბით შეშინებული მუშები ღმერთს ეხვეწებიან, რომ ბანქოს თამაშობაში კვლავ აღარ წააგოს, თორემ, თქვენი მტერია, აღარც ერთ მის მუშას არც კბილი და არც წვერულვაში და ან თმა შერჩეს, თორემ საიქიოს გასტუმრებას კიდენ ჯანი და სული გავარდეს.

### ფარ-ღონი.

ხალამპრესთან და ხეტიალს და ჩურჩუტს ნუ დაიწყებო“. რალას ვიზამდი ვაჟკაცი რომ არ ვყოფილიყავი ტირილს დევიწყებდი, მარა რა მექნა? დავლუნე თავი და წვევდი ხალამპრესთან. ვუამბე ყველაფერი. ბევრი იცინა და მითხრა, აქანა ძმაო ისეთი „რეჟაციაა“, რომ გარეთ ვეღარ გამოვსულვართო. გამიკვირდა,—ბიჭო! „რეჟაცია“ გურიში დავტყე და ასე მალე რავა ამევიდა აქანა მეთქი?! ამ ჩემ სიტყვებზე ხალამპრე კილამ გასკდა მუცელზე იმდენი იცინა. „რეჟაცია“ ერთი კი არ არის, ახლა ყოლგან არისო. დიდხანს ვილაპარაკეთ, ცის, ბრის. მერე ვივანშმეთ და დავწვეით, ასე შუალამე იქნებოდა, იმისთანა ტკბილ სიზმარში ვიყავი, რომ ყორიფელი გაჭირვება დამავიწყდა. უცებ ისეთი მუშტი მომხვდა გვერდში, რომ ვიფიქრე აგი „რეჟაცია“ მეცა მეთქი. დავაჭყიტე თვალეები და რას ვხედავ? თავზე პრისტავი, სალდათები და გოროდოვოები მაღგანან, საწყალი ჩემი ხალამპრე გოუქაჩავთ. „ვსტავაიტიო!“ დამიყვირა პრისტავმა. „ია სპიტ მეთქი—და დაენაბე თვალები“ „კაკოი სპიტ? ვსტავაიტიო!“ და მომარტყეს თოფის კონდახი. „პოყოლუსტა პოდოჟდი, კაი სიზმარი ვნახე, კონჩილ და პატომ ვსტავაი მეთქი“

# კუჭლები.

გავიფრინდა სიხარული,  
დავგიმძიმდა ჯვარის ზიდვა.  
ვინც დაგვაწვა ტვირთად ზურგზე,—  
ჩვენი ცოდვაც თავზე იდვა...  
ვითა მონა ბრმა, მორჩილი  
ვართ მის კარზე მიჯაჭვული! —  
სულს გვიბრუნებს მხოლოდ ტრფობა...  
მაგრამ ქალის სიყვარული  
ახლანდელი...  
დელი! დელი!

ერი, ბერი, ძმა და მტერი,  
გარეშე თუ შინაური  
ყველა ქედში გვარკობს სადგისს,  
ყველას უნდა სამსახური.  
—დღე და ღამე შრომობ სხვისთვის  
მორჩილი და თავ-დახრილი;  
ხსნას კი ელი მემკვიდრისგან...  
მაგრამ—უი!—მაშავ, შვილი  
ახლანდელი...  
დელი! დელი!

ვინც ახერხებს და გერევა,—  
ის აბრიყვებს ხოლმე ბრიყვებს—  
და შენ სულ სხვა ქვეყნებისკენ  
თითს გიშვერს და იქ გისტუმრებს.  
ეს ქვეყანა კი მას უნდა,  
სურს განცხრომა, ლხინი, შვება.

შენ ოცნებობ ხმელი კუჭით...  
მაგრამ სული და ცხონება  
ახლანდელი...  
დელი! დელი!...

მორიელი.

## „ჩემს დამსახურებებს!“

ტყუილია ზოგის სიტყვა—  
შენ არ გნებავს ჩემი შველა,  
ამხანაგობის ძახილით  
თვისთვის ზრუნავს თურმე ყველა!

მე მეგონა ახალ კავშირს  
ძარღვით ქონდა თბილი გული,  
მაგრამ-ვაი ამის მომსწრეს!—  
ძარღვი იყო თურმე „ფული.“

გავიგე და გულის ძაფი,  
ჩანგურივით აძგერილი,  
გამიწყდა და იმ დღის უკან  
უიმედო თვალით ვსტირი!

რისთვის მივხვდი უბედური,  
რაც ოცნებას მომიკლავდა?  
თვალ-ახვივულს სანუგეშოდ  
მხოლოდ შენი თავი მყავდა.

ახლა, როცა უიმედო  
ველარა ვძრავ პირში ენას,  
მაგ ლალატის სუსხის გამო  
ვზღუდავ ხოლმე წარმოდგენას.

კრიჭა.

წერილი „ეკალის“  
რედაქციის მიმართ

მოგესხენებათ, რომ ამერიკასა და და-  
სავლეთ ევროპაში ქორწინებას დიდი  
ყურადღება აქვს მიქცეული.

ეს ასეც უნდა იყვეს, ვინაიდან ქორ-  
წინება ისტორიული მოვლენაა, და, რო-  
გორც ასეთი, ის არაა უცვლელი. ის  
განუწყვეტლივ განიცდის ცვალებადობას.

ამერიკასა და ევროპაში ამ ცვალემა-  
დობის შესასწავლათ და ფართე მასსის-  
თვის გასაცნობ.თ აუარებელი ჟურნალ-  
გაზეთები არსებობენ.

კაპიტალისტურმა წარმოებამ ძველი  
ოჯახი დაანგრია, მისი წმიდათა-წმიდა  
ფესქვეშ გათელა. ბევრ ქალსა და კაცს  
ან ერთათ მოუყარა თავი ფაბრიკა-ქარხ-  
ნებში, ან დაამორ-დააქუცმაცა. ლუკმა  
პურზე ზრუნვისა, ხვალინდელ დღის ში-

\*) ჩვენი რედაქცია სრულიად ეთანხმება ამ წე-  
რილის ავტორის აზრს, მხოლოდ საჭიროა, რომ  
ამის შესახებ რამდენიმე პირებმა გამოსთქვან  
თავისი აზრი და რედაქციას აცნობონ: დაუჭერენ  
მხარს ისინიც ავტორის აზრს თუ არა. უფროსა-  
სურველია, ამის შესახებ ჩვენი ჟურნალის მკი-  
თხველმა ქალებმაც ამოიღონ ხმა და თავისი  
აზრი გამოსთქვან და შემდეგში რედაქცია ყოველ  
ღონეს იხმარს მკითხველების სურვილი, დააკმა-  
ყოფილოს, რამდენათაც ეს მას შეეძლება.

რედაქცია.

ღ კილომ დავნაბე თვალები. „ვაზმიტიო“ —  
დეიყვირა იმ ოჯახ დასაქცევმა. აგი კი  
ველარ მევითმინე. „რაფა კვტარი კი არ  
ვარ ზაჩემ ვაზმიტი?“ მე თვითონ ავდგები  
მეთქი. ავდექი. ბაშფორთიო—გუშინ ხომ  
ნახე მეთქი, სკორეიო! რას ვიზამდი? მი-  
ვეცი. წეიკითხა პრისტავმა და მკითხა  
ხალამპრეს საიდან იცნობო. დედავ, წაფ-  
ხთი! რაფა საიდან ვიცნობ, ხალამპრე ჩე-  
მი ბიძაშვილია მეთქი. აბა, შენც „ცო-  
ციე“ ყოფილხარ და უნდა დაგიჭიროთო.  
გამიკრეს ხელები და მე და ხალამპრე  
მიგვაძუნძულეს უჩასტკაში. იმ ღაქეს  
შეგვაგდეს საპყალიაში. მეორე დღეს  
ხალამპრე ადრე წეიყვანეს საცხა და მე  
პრისტავთან მიმიყვანეს. პრისტავმა კი-  
ლომ მკითხა „ცოციე“ ხარ თუ არაო?  
ბიჭო! „ცოციე“ ვარ აბა, „რექაციე“ ხომ  
არ ვიქნები მეთქი? ჩემი გულიზა რეიზა  
იწუხებთ თავს, ისევე უჩასტკაში გადმოგ-  
სახლდები, სანამდი აქეთ დავრჩები და მე-  
რე ქე წავალ კუნცხეთში მეთქი. გიე-  
ცინა. შენისთანა „ცოციები“ რომ იყვენ  
ყველა—რაღა გვიჭირსო! დოუძახა გორო-  
დოვოის და უთხრა: „გეიყვანე! კაი, კაი,  
მიყაოლე და გოუშვიო“. გამომიყვანეს  
ეზოში მომარტყეს ღ გამიშვეს. „ვაი, დედა!  
თქვენ თუ ჩამოღით კუნცხეთში გიტ-

რებთ ყოფას მეთქი, მივაძახე და ვდურთე.  
გამოვხტი ქუჩაში და გვეიქეცი. ვიყან-  
ტალე ხან ერთ ქუჩაზე და ხან მეორეზე,  
არ ვიცოდი საით წავსულიყავი. ბოლოს გა-  
მხსენდა, რომ ქარვასლაში ერთი მოყვარე  
კილო მყავდა—ქრისტესია ცუცქაძე. ბე-  
ბია ჩემის ბიძაშვილის ცოლის მახლის  
მონათლულის ცოლის ძმის შვილი იყო.  
ქარვასლაში პრიკაჩიკათ იყო. გავსწიე  
მისკენ. მივედი ქარვასლასთან და გვეი-  
ხედე და რა დევინახე: მოგლიჯინობენ  
ყაძახები. თვალები ისე დიებრაწენ, რომ  
ცოფიანი ეგონებოდა კაცს. შუაში ორი  
ფაიტონი მოდიოდა. მომიახლოვდენ თუ  
არა, უცბათ რაცხამ იმისთანა მბრიგაა  
რომ ვიფიქრე ქარვასლა დამეცა თავზე  
მეთქი,—ერთ საყენზე კი შევხტი. თვალის  
დაკან კურება ვერ მოვასწარი, რომ მბრიგვეს  
მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, შეიქნა  
ბრიგინ-ბრიგინი, გრიალ-გრიალი, ხათქა-  
ხუთქი. გვეიხედე ერთმა ყახახმა ქნა ზი-  
კუნტალი, სხვებმა ისე მოკურცხლეს,  
რომ სულ მიწას ეცხებოდენ. თვალები  
დამიბნელდა, სეით გავქცეულიყავი არ  
ვიცოდი. ყველა წევილ-კივილით მირზო-  
და. ვიკადრე მეც და ვკურცხლე, აქეთ  
გავხტი, იქით გავხტი და უცფათ ერთ  
გოროდოვოის ზე კაკალ გულზე შევახტი.

იმ უბედურს შიშით ისე გაშტერებოდა  
თვალები და დაეფინა პირი რომ პირში,  
რომ შევხტომოდი ვერაფერს გეიგებდა.  
ვქენით ორივემ კოტრიალი. დავაპირე  
წამოხტომა და გაქცევა, მარა მტაცა ფეხში  
ხელი, მოვარდენ სალდათები და გორო-  
დოვოები და დამიშინეს ზოგმა ხიშტი,  
ზოგმა თოფის კონდახი. დამიბნელდა  
თვალები და წევიქეცი. ვიფიქრე ახლა  
კი მოვკტი, რაცხა „რექაციაა“ ახლა  
პირ და პირ დამეტაკა მეთქი. როცა  
გონს მოვედი ხელ-ფეხ შეკრული ვი-  
ყავი და თავზე ღენერალი მადგა.  
თვალები დამიბრიალა და დამიყვირა: „პო-  
დლეც! დეროლისტი! ისპროპრიატორო“  
„ზაჩემ დენგი ვზიალო“. მე დეროლისტი  
არ ვარ „ცოციე“ ვარ, დენგი დვა რუბ-  
ლია ესტ მეთქი, ვუთხარი. „ვრიოშო, ჩა-  
მოვანჩობო, ზაჩემ ბომბი ბროსილო“.   
ვინ იყო შენი ამხანაგები სად არის ფუ-  
ლებიო? ვერ გვეიგე რას მელაპარაკებოდა;  
მე ქრისტესისან მივიღოდი ქარვასლაში,  
რაცხამ ბრიგა და გვეიქეცი მეთქი. „ია  
ტებე პოკაეიო!“—დამიყვირა და წევიდა.  
გამიკრეს მაგრათ ხელ-ფეხი და წამათ-  
რეის ციხეში. ჯერაც არ ვიცი მე უბე-  
დურმა რა ამხაფი იყო და რა მოხდა, ქე  
ვარ ახლა ციხეში. ჩემი ცოდვა მის კი-  
სერში ვინც ის ფულეხი წეილო.

მურთუზ-ოღლი.

შისა, სწავლისა ან სიმდიდრის შეძენის გამო არც ქალს და არც ვაჟს არ რჩება დრო იფიქროს თავის ბუნებრივ იდეალზე—„ნახევარზე“. მაგრამ ბუნება თავისას თხოულობს. ამ დროს ერთდებიან ისეთი პირები, რომელთა შორის არაერთი შესაერთებელი ძაფი არაა. ერთხანს ერთიც და მეორეც ატყუილებს თავს. მაგრამ მოგეხსნებათ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; ის მალე იჩენს თავს, და აი იშლება უფსკრული მეულღეთა შორის, და იწყება მათი ზნეობრივი და სულიერი ტანჯვა-ვაება;

აი ეს გაზეთები რამოდენიმეთ ამის თავიდან ასაცდენათ და მაქანკლური ქორწინების მოსასპობათ ვრცელ ადგილს უთმობენ თავიანთ ფურცლებზე შეუღლების მსურველთა განცხადებებს.

აცხადებს ქალიც და ვაჟიც თავის გარეგნულ და შინაგან თვისებებს, ცოდნას, მისწრაფება-იდეალს და ნივთიერ შეძლებას. თუ განცხადებაში მსურველმა იპოვა თავის იდეალი, მაშინ ჩაღდება მიწერ-მოწერა და კარგათ გაცნობის შემდეგ ქორწინებას.

ჩვენში მრავალი ჟურნალ-გაზეთები არსებობს ამა თუ იმ მიმართულებით, მაგრამ დღემდე ისეთი დიდი მოვლენა, როგორცაა ქორწინება, უყურადღებოა მიტოვებული, თოთქოს ის განყენებული რამ იყვეს, ან სრულიათ უმნიშვნელო.

ამ უქანასკნელ ხანებში რუსეთში უკვე გამოდის რამდენიმე სპეციალური გაზეთი ქორწინების შესახებ.


მე მგონი, დროა ჩვენშიაც მიექცეს ამ საგანს ყურადღება, მაგრამ სპეციალურათ ქორწინების შესახებ გაზეთის გამოცემა ერთობ დიდ ხარჯს მოითხოვს, რაც შეუძლებელია ამ ეამათ.

ამისთვის კარგი იქნება, რომ თქვენ სახუმარო გაზეთში გახსნათ ქორწინების სერიოზული განყოფილება და გასართობს სასარგებლოც შეუერთოთ.

განყოფილება ერთობ სერიოზული უნდა იყოს.

ის უსდა ცდილობდეს გააცნოს ფართე მასსას სხვა და სხვა ხალხების ქორწინების ფორმები სხვა და სხვა ეპოქაში, გამოამზებუროს ეხლანდელი ქორწინების სიყალბე-სიღუბჭირე და აღნიშნოს მომავალი ქორწინების კანტორებიც; აგრეთვე დაუთმოს ალაგი დაქორწინების შესახებ განცხადებებს. რის საიღუმლოება რედაქციის სასტიკათ უნდა დაიცოს, აღნიშნოს საყურადღებო ამბები, რომლებიც ყოველ დღეს ხდება დაქორწინებისა და განქორწინების ნიადაგზე და სხვა.

ე. გოგობერიძე.



სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება.



— რას გამოიბრუებულხარ და ფეხზე დგომის თავი აღარ გაქვს?  
— რასა, ჩემო კარგო და იპოცემგადავკარ, რომ შეთანხმე დუ-მისთვას შე არ ამირჩიონ!

ეს ნოჰერე სხვა და სხვა მიზეზების გამო დღემდის ვერ გამოვიდა თუმცა ნახევარი ჟურნალია ოთხი თვის წინეთ არის დაბეჭდილი.

რედ.-გამომცემელი კ. სალუქვაძე.